ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4604971

ნომერი: AR1694595

თარიღი : 15.07.2019

გაცემის თარიღი : 25.07.2019

გაცნობის თარიღი : 25.07.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მარშალ გელოვანი , პოლიციის სამმართველოსთან , (ნაკვეთი N25/50);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა ქოთოლაშვილი პ/ნ 01001057001
- პეკინის 25

ორგანიზაცია:

- შპს ეკო ნოვაცია კოდი: 400252720

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ:
. ვინაიდან თქვენ მიერ მოთხოვნილი ფუნქციით საპროექტო ობიექტი ამ ზონისათვის საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის ოფიციალურ პორტალზე Urban.tbilisi.gov.ge შესაბამისი მოთხოვნის კუთხით.
. ასევე, გაცნობებთ, რომ საჭიროა დაიცვათ I კლასის პარამეტრები. გაცნობებთ, რომ I კლასს განეკუთვნება:60 კვ.მ-მდე ფართობის (იანგარიშება იატაკის დონეებზე სართულების განაშენიანების ჯამური ფართობის მიხედვით), 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.
. ასევე, როგორც განცხადებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება საპროექტო სამუშაოებით დაინტერესებულია შპს „ეკო ნოვაცია“ , სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა უფლებამოსილმა პირმა ვინც დაინტერესებულია საპროექტო სამუშაოებით. გაითვალისწინეთ თუ სამსახურს მომართავს საპროექტო ფართის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საჭიროების შემთხვევაში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე.
გაითვალისწინეთ, რომ საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, 1 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება საჭიროებს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. აქედან გამომდინარე წარმოდგენილ იქნეს შპს „ეკო ნოვაცია“ უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი. არ არის მისაღები სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ თანხმობა გაცემულია მათთან წარდგენილ ფოტომონტაჟზე და დაუდგენელია თუ რა ფოტომონტაჟია, ასევე საძირკვლის არმქონე შენობის განთავსებაზე აქვს გაცემული და მიმდინარე განცხადებით 60 კვ. აქვს არჩეული აქედან გამომდინარე განახლდეს სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას განახლებული თანხმობა. წარმოდგენილ იქნეს სს ვენჯორჯიას წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა (სანოტარო, ორგანიზაციის ბეჭდით ან ორგანიზაციის ტიტულოვან ფურცელზე შედგენილი) მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით ან რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძვლები თუკი წინასწარ თანხმობას ითვალისწინებს.
თქვენ გეძლევათ 22 სამუშაო დღე მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.